

პრეს-კონფერენციის მოსაწვევი

საქართველოს ბიზნესის ნდობის ინდექსმა ყველა დროის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია, მეწარმეთა მოლოდინები პესიმისტურია

თარიღი: 9 ივნისი, 3 სთ.

მისამართი: ISET, ზანდუკელის ქ. N16, თბილისი, საქართველო

2014 წლისა და 2015 წლის პირველი კვარტლის სტაბილურად ოპტიმისტური განწყობის შემდეგ, საქართველოს ბიზნესის ნდობამ თავის ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და [-100, 100] სკალაზე 24,5-დან 3,6 პუნქტამდე დაეცა. გამოკითხვა, რომელიც 168 კომპანიას მოიცავს, აჩვენებს, რომ ბიზნესის ნდობა შემცირდა ყველა ჭრილში. გაუარესებული განწყობა ვლინდება ყველა ეკონომიკურ სექტორსა და ბიზნესის ზომით კატეგორიაში; უფრო მეტიც, გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე საქმიანობაზე, ისე სამომავლო მოლოდინებზეც.

ბიზნესის ნდობის მაჩვენებლის მკვეთრი დაცემა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ეროვნული ლარის მიმდინარე გაუფასურებასა და მის თანხლებ პოლიტიკურ დაპირისპირებასთან. ბიზნესის ნდობის მაჩვენებლის დაცემა შვიდი თვის მანძილზე ქართველ მომხმარებელთა ნდობის სტაბილურად კლების შედეგია, რამაც გავლენა მოახდინა სამომხმარებლო მოთხოვნასა და გაყიდვებზე. საცალო გაყიდვების სექტორმა პირველმა იგრძნო მოთხოვნის მკვეთრი შემცირება. მეორე კვარტლის მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართულ ფინანსურ სექტორში უკვე იგრძნობა ციებ-ციხელება. ფინანსური სექტორის ნდობის მაჩვენებელი დაეცა 50.8 პუნქტით (2015 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 50.9 ქულა იყო, ხოლო მეორე კვარტალში ის 0,1 პუნქტია)!

პრეს-კონფერენციას წარუძღვება ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, მაია გრიგოლია, რომელიც ბიზნესის ნდობის 2015 წლის მეორე კვარტლის კვლევის შედეგებს წარმოადგენს. დამატებით კომენტარს გააკეთებენ ISET-ის პრეზიდენტი, ერიკ ლივნი და PMCG-ის აღმასრულებელი დირექტორი და ICC-ის თავმჯდომარის მოადგილე, ლექსო ალექსიშვილი.

ბიზნესის ნდობის ინდექსის (BCI) შესახებ:

ბიზნესის ნდობის ინდექსი არის [ISET-კვლევითი ინსტიტუტისა](#) და [ICC საქართველოს](#) ერთობლივი კვლევა. აღნიშნული კვლევა 2013 წლის დეკემბრიდან კვარტალში ერთხელ ტარდება. საქართველოში ბიზნესის ნდობა მოწმდება შვიდი ძირითადი სექტორისთვის. ესენია: 1) მომსახურება, 2) საცალო ვაჭრობა, 3) სოფლის მეურნეობა, 4) სამრეწველო ინდუსტრია, 5) ფინანსური მომსახურება, 6) მშენებლობა და 7) სხვა სექტორები. თითოეული სექტორისთვის ბიზნესის ნდობა იზომება ბიზნესის აღმასრულებელთა მარტივი გამოკითხვის მეშვეობით. დაახლოებით 150-ზე მეტი ქართული კომპანია რეგულარულად იღებს მონაწილეობას გამოკითხვაში. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით [ბიზნესის საინფორმაციო სააგენტოს](#) მეორე კვარტლის გამოკითხვაში მხარდაჭერისათვის.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მაია გრიგოლია, მთავარი მკვლევარი
ელ-ფოსტა: m.grigolia@iset.ge
ტელ.: (+995) 322 507 177 (შიდა 220)
მობილური: 595 362 536

ნინო ნანიტაშვილი, კომუნიკაციების დეპარტამენტი
ელ-ფოსტა: n.nanitashvili@iset.ge
ტელ.: (+995) 322 507 177 (შიდა 228)
მობილური: 599 520 043